კვირა, 1917 წ. ნოემბრისთვის 12 (25) № 251
ყოველდღიური გაზეთი
კვირა, 1917 წ. ნოემბრისთვის 12 (25) № 251
ფასი 15 კაპ.

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღინიშნოს ავტორის გვარი და მისამართი. უპირობოდ გამოგზავნილი მასალა ფასიანად ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქ. № 5 თავად-აზნაურობის ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

**კონტორა**

გაზეთის ფასი პირველ გიორგობისთვიდან წლის დამლევამდე 6 მან. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

## გაზეთის შინაარსი

### ცნობებიდან

ლენინს წინადადება მიუცია მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერებისათვის მთავრობაში შემოდითო.—ბოლშევიკებს მოუსპიათ ყოველივე გამოძიება, რომელიც ლენინის საქმის გამო სწარმოებდა.—წითელ გვარდიელებს ქსენია ალექსანდრეს ასულის სასახლე გაუცარცვნიათ.—მოსკოვის ბოლშევიკებს მცხოვრებლებისათვის სასურსათო ბარათები მოუსპიათ: ახალი მთავრობა მიიღეთო.—სრულიად რუსეთის პატრიარქად მოსკოვის მიტროპოლიტი ტიხონი აირჩიეს. ბოლშევიკებს წინადადება მიუციათ ჯარისათვის: მტერთან ბრძოლა შესწყვიტეთო.

### წერილებიდან

მეთაური. ვის ეკუთვნის ქართველი ხალხის ხმა?
ლ. ჯაფარიძე. რას გვავალებს საქართველო?

მოწოდება „გლეხებო, მიწის მუშებო"!
ქართველ ვაჭარ-მრეწველთა მოწოდება.
ქართველ ისრაელთა მოწოდება.

ნოე ჟორდანიას ჩვენება (მიხეილ წერეთლის წერილის შესახებ).
საქართველოს ეროვნული კრება.

ქართველ ვაჭარ-მრეწველთ (ლ. ი. ზოდელავას სიტყვა, თქმული ვაჭარ-მრეწველთა კრებაზე ფოთში).

ზ. ედილი. მთიელთა კავშირი და აფხაზეთი (კორესპოდენცია).

ქალ. ქუთაისში გარდაიცვალა
ევგენი სიგიზმუნდის ძე
ზლატნიცკი
რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა უზომოდ დამწუხრებული შვილი თამარ გიორგის ასული ზლატნიცკისა. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1—878—1

კვირას, 12 გიორგობისთვეს, ანჩ ხატის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი
შალიკო მიხეილის ძე
სულხანიშვილის
სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს [illegible] სი დედა, მამა და შვილი.
წირვის დასაწყისი სწორედ დილის ათ საათზეა. 1—877—1

ქართული კლუბი
ოთხშაბათს, 18 ნოემბერს, ქართული კლუბის საკონცერტო დარბაზში ნოე სიხარულიძის მეთაურობით ახლად შემდგარი გურული მომღერალთა დასი ჩაფელიშვილ-სვიმონ შვილის ლოტბარობით გაიმართება
საღამო-კონცერტი
გურულ მომღერალთა დასი შეასრულებს სხვა და სხვა გურულ სიმღერებს, ჩვეულებს და ძველ გურულ ხორუმ ცეკვას. დასასრულ დასი გამართავს გურულ სცენებს. მონაწილეობას მიიღებენ: ბესარიონ ინწკირველი, ნიკა ლომინაძე, დათა მამაკაშვილი, ვარდიკო სიმონიშვილი, ბებურ ჩხაიძე, ალ. ვაშალომიძე, ილიკო ქელიძე, ვახტანგ სიხარულიძე, ერმალო სიხარულიძე, ბარნაბ სიხარულიძე, გლადიმერ ბერძენიშვილი და სხვ.
დასაწყისი კონცერტის საღამოს 9 საათ.
1—835—1 ბილეთების ფასი 10 მან.—20 მან-მდე.

# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

## გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

## მამულიშვილნო!

__საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის__ მიზანია თავისუფალი საქართველოს აღდგენა... მთელი ამერეთი და იმერეთი უნდა გაერთიანდეს და დაამყაროს ის ეროვნული თვითმართველობა, რომლის უფლებანი საქართველოს ეკუთვნის 1783 წელს რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებით.

__საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია__ არ არის სოციალისტური პარტია, იგი მოითხოვს ყველა კლასთა შეთანხმებას და თანამშრომლობას, რათა ქართველმა ერმა გაერთიანებული ძალებით დაიცვას თავისი თავი და მიაღწიოს თავისუფლებას.

__საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია__ იცავს კერძო მესაკუთრეს უფლებას როგორც სოფლად, ისე ქალაქად, ვინაიდან მხოლოდ კერძო საკუთრების, კერძო თაოსნობის და კერძო შემოქმედების განმტკიცებით შეიძლება ქართველი ერის გამდიდრება, განათლება და გამრავლება.

__საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია__ მოითხოვს თანასწორობას ქართული რესპუბლიკის ყოველი მოქალაქისას, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

__საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია__ მოითხოვს რათა საქართველოს ავტონომიურმა მთავრობამ გამოისყიდოს იძულებით დიდი მამულები და გადასცეს იგი უმამულო მიწის მუშას, გლეხს სრულ საკუთრებად, იმ წესით, რა წესსაც საქართველოს ეროვნული დამფუძნებელი კრება დაადგენს...

__საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია__ მოითხოვს ქართულ მეურნეობის, ვაჭრობა-მრეწველობის და ადებ-მიცემობის ზრდა-განვითარებას.

__მამულიშვილნო!__

ვისაც გწამთ რომ მთლიანი თავისუფალი საქართველო კერძო მესაკუთრეს თავისუფალ შრომაზე უნდა იყოს აშენებული,

მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო სიას № 8 ს.

__მესაკუთრენო!__

გახსოვდეთ, არც ერთი ხმა სოციალისტებს!

მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დაიცავს თქვენ ინტერესებს, როგორც რუსეთის ისე საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე.

## მიეცით ხმა საარჩევნო სიას №

# 8

1. ძედია სპირიდონ მალხაზის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
2. გვაზავა გიორგი ბეჟანის ძე—ნაფიცი ვექილი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
3. ქარუმიძე შალვა ალექსანდრეს ძე—პედაგოგი.
4. მაჭავარიანი იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი.
5. ბეჟანიძე სულეიმან ბეგი—მეურნე (აჭარიდან).
6. წერეთელი ვასილ გიორგის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ ქუთაისის ხმოსანი.
7. ვეშაპელი (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს" რედაქტორი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
8. ჟურული გიორგი დურმიშხანის ძე—ქალაქ თბილისის ხმოსანი, ჭიათურის შავი ქვის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
9. გორდეზიანი გიორგი პავლეს ძე—ნაფიცი ვექილი.
10. ივანიცკი (ინგილო) რაფაელ ალექსანდრეს ძე—იურისტი.
11. კეკელიძე კორნელი—რექტორი თბილისის სასულიერო სემინარიისა.
12. ნიჟარაძე რეჯებ ბეგი—მეურნე.
13. თორაძე ალექსანდრე დავითის ძე—პედაგოგი.

**თბილისი, გიორგობისთვის 12.**

# ვის ეკუთვნის ქართველი ხალხის ხმა?

მოქალაქენო! განსაკუთრებულ პირობებში ირჩევს ჩვენი სამშობლო წარმომადგენლებს რუსეთის დამფუძნებელ კრებაში! დღევანდელი პოლიტიკური ვითარება ერთობ რთული და პასუხსაგებია. მთელს რუსეთს სამოქალაქო ომის ცეცხლი აქვს მოდებული! უზარმაზარი სახელმწიფო ჩვენს თვალწინ ირღვევა და ნაწილდება, ხოლო მასში მოსახლე უფლება აყრილი ერები ირაზმებიან და ახორციელებენ ნაციონალურ თვით გამორკვევას! რუსის ხალხმა ვერ გამოიჩინა სახელმწიფოებრივი სიბრძნე, ყოველს შემთხვევაში, იგი მოკლებულია პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობას, რომელიც ჭეშმარიტ მამულიშვილს უნდა უკარნახებდეს განცდის ჟამს მედგრად და შეუპოვრად დაუხვდეს შემოხიზნულ მტერს! ერის თვისება, მისი ფსიქიკის ნამდვილი შინაარსი სამშობლო ქვეყნის უდიდეს ტრაღედიამ უნდა გამოამჟღავნოს. პატრიოტული გრძნობა ავალებს ერს შეთანხმებული მოქმედებით იხსნას სახელმწიფო განადგურებისაგან,—რუსის ხალხი კი ერთმანეთის ჟლეტით გზას უკაფავს მოზღვავებულ მტრის ლაშქარს და ყვავილების ნაცვლად მოძმის სისხლითა ჰრწყავს მის ძლევამოსილ მსვლელობას!

საარჩევნო ყუთებთან რუსის ხალხის დიდი ნაწილი—დემოკრატია—მიდის არა შეთანხმებას სურვილით აღსავსე, არა იმ მიზნით, რომ შეერთებული ძალღონით მოაწესრიგოს დაშლილი სახელმწიფოს მექანიზმი, არამედ ურთიერთსაშიში ბოროტი განწყობილებით და შეურიგებელი პროგრამებით. ადვილად შესაძლებელია, რომ დამფუძნებელ კრებამაც ვერ მოსპოს არსებული პოლიტიკური კრიზისი. თუ ქვეყანაზე მოდებული ანარქია გაძლიერდა, რისი სიმპტომებიც—ამ ჟამად მაინც—ეტყობა გარეშე, თუ ქალაქ-დაბების დანგრევას და სისხლის ღვრას ბოლო არ მოეღო, ვინ უწყის, იქნებ, უცხო სახელმწიფოთა ჩარევაც აუცილებელი გახდეს განრღვეულ „ჩრდილოეთის სფინქსის" წამოსაყენებლად...

ქართველობამ ანგარიში უნდა გაუწიოს რთულ პოლიტიკურ ვითარებას: ქართველი ხალხის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი გამოცდილება იმედს გვაძლევს, რომ დღევანდელ უმეტესად სახიფათო მდგომარეობიდან ღირსეულად გამოვალთ და შეერთებული მოქმედებით და ფხიზელი პოლიტიკით საქართველოს ბრწყინვალე პერსპექტივებს დაუსახავთ...

ვინ უნდა გავგზავნოთ რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე? საქართველოს დეპუტატს მძიმე მოვალეობა აწევს მომავალ არაჩვეულებრივ ყრილობაზე: ჩვენი რწმუნებული საერთო ფერხულში ვერ ჩაებმის, რადგანაც საზოგადო სახელმწიფო მოსაზრებით ვერ განსაზღვრავს თავის მიზანსა და დანიშნულებას. ქართველი ხალხის ნდობით აღჭურვილი დეპუტატი უმთავრესად უნდა ზრუნავდეს იმავე ქართველ ხალხზე. საქართველოს საკითხის ნათლად წამოყენება, დაყრდნობა იმ ხელშეკრულობაზე, რომელიც არკვევს რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულებას და რომელსაც უცილობლად მინიჭებული აქვს ღირსება საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტისა, 1783 წლის ტრაქტატი—ამაზე უწინარეს ყოვლისა უნდა ხმა აიმაღლოს ქართველმა დეპუტატმა!

რომელი პარტიის წარმომადგენელს შეუძლიან პროგრამის, თუ ტაქტიკის მიხედვით დაიცვას მთლიანი საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ინტერესი? რასაკვირველია, მხოლოდ იმას, ვინც საქვეყნოდ აღიარებულ მოძღვრებაში ხაზ-გასმით და მკაფიოდ გვაწვდის საქართველოსათვის საჭიროდ აზრებს, ვისაც მხედველობაში ჰყავს მთელი ქართველი ერი და არა რომელიმე მისი შემადგენელი წოდება, ან კლასი. ქართველ ერმა უნდა შეიგნოს, რომ ჩვენი სამშობლო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღსდგება და შესძლებს აწარმოოს შინაური დამოუკიდებელი, საკუთარ კანონმდებლობაზე აგებული და ქართველი ხალხის თვისებასთან და ზნე-ჩვეულებასთან შეგუებული პოლიტიკური ცხოვრება, თუ იგი მთლიანად გამოვა და ერთსულოვნად დაიცავს სამშობლოს მოთხოვნილებას.

საქართველოს ვერ-ას არგებს დეპუტატი, კოსმოპოლიტურად მოაზროვნე, რომელსაც ყველა ქვეყნის პროლეტარების შეერთება უფრო აინტერესებს, ვიდრე სამშობლოს ბედ-იღბალი, ვირც ის დეპუტატი, რომელსაც წამოაყენებს პარტია რეფერენდუმისა და დუხჭირ-ჟამთა დროის მოსახლეობის დამცველი...

ქართველი ხალხის ხმა სამართლიანად ეკუთვნის იმ პარტიას, რომლის დროშაზე აღბეჭდილია: საქართველოს აღდგენა! ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელიც არჩევნებში გამოდის მე-8 ნომრის ხიით, თავგამოდებით იცავს მთელი ქართველი ერის საჭიროებას! მისი ზრუნვის საგანს შეადგენს მხოლოდ საქართველო და ამიტომ მხოლოდ ამ პარტიის დეპუტატს უნდა ეკუთვნოდეს ქართველ ამომრჩევლის ხმა!

# რას მოველით საქართველო!

დღეს ყოველი ქართველი მოქალაქე მოწვეულია თავის სამშობლოს ბედის გადასაწყვეტად.

მძლავრად არის დაჭიმული ჩვენი ფიქრები იმ მოულოდნელ მომავლის წინაშე, რომელიც უკვე თანდათანობით ყოველს ჩვენს ეროვნულ ნაღვლაში აშკარად ცნაურდება.

თანდათანობით ხორცს ისხამს ის ჩონჩხი, რომლის დაკრეჭილი კბილები 117 წლის განმავლობაში თავს დაგვზაროდა და გვაფრთხობდა თავის სიტიტვლის საოცრებით.

ერთი მეორეზედ იცვამს ეს ჩონჩხი თავის ტანისამოსების ნაწილებს და მის შინაგანი სითბო ყოველ ჩვენგანის გაციებულს კუნთებს შლის.

საქართველო უკვე მეტყველებს თავის სამშობლო ენაზე, რომლითაც საუკუნოებრივი კულტურა შეუქმნია.

მის წმიდა ეკლესიებში ღაღადებს მისი ნაშობილი სიტყვა და მორწმუნენი სრულიად თავისუფლად თავიანთ რწმენაში შეუძლიანთ უსმინონ სადვთო ქადაგებას.

საქართველოს ხალისიანი ჭაბუკნი თავის ძველ ტანისამოსებში სამშობლოს მიწის დასაცველად კიდით-კიდემდე ირაზმებიან და ყურ ჩათხრობილი ერი ამაყად უსმენს საუკუნეში დავიწყებულ მისთვის სანეტარო იარაღის ჩხარუნს.

ახლდებიან ძველი ტრადიციები და იხსენება საგმირო მოგონებანი.

ნელი ნელ სდგება, ჩვენს წინ ძველი საქართველო და გვათრობს თავისი სახის გრძნეულებით, მაგრამ მისი აღდგენის სიმტკიცეს დაცვა უნდა.

ამ ახალი ცხოვრების დამწყებს გამოცდილი და მოყვარული ხელით მომართვა სჭირდება და ერთი ათად აუცილებელია იგი დღეს, როს მისი გუშინდელი ბრძანებული ხნის თავის სხეულს, კარგავს ძველ მთლიანობისა და მოლიპულ გზაზედ სდგას სხვებიც უნდა ჩაითრიოს დამღუპველს უკუნეთში.

ყველა მიღებული თავისუფლებანი ისეც ისეთ სიბნელეში დაიკარგებიან საიდანაც ძნელია კვლავ გამოსვლა, თუ საქართველომ ძლიერმა თავის ნების ყოფაში ერთსულოვნად არ დაიცვა თავისი უფლებანი.

თუ მტკიცე და მედგარი არ იქნა მისი სიტყვა, უზიდურებით მოცულ რუსეთში არავინ მიაქცევს ყურადღებას მის გასაჭირს.

ვინ იქნება დამცველი მისი და გამომხატველი ერის მთლიანობისა?

ნუ თუ ისინი, ვინც მსოფლიობის კოცონზედ სწვავენ თავის ერს და უზარმაზარ რუსეთის პირისფერლობაში არ ძალუძთ გაიხსნონ სამშობლო საქართველოს გაციებული კერა?

ნუ თუ საქართველო მათ მიანდობს თავის დაცვას, რომ რუსეთის გადარჩენისთვის ცეცხს ანაცვალონ თავის ზურმუხტოვანი ველები და ერი ამაყი და ქედ-მაღალი ველურ უცხოელთა თანაბრად გახადონ?

განა მათს ხელში არ იყო მთელი რუსეთის ბედი და რა მისცეს მაშინ თავის სამშობლო ნახარს?

და როდესაც დანგრეულმა რუსეთმა ბევრ სხვებთან ერთად მათი ძლიერებაც ძირს დასცა, ეხლაც ძლივს ბედავენ შიშითა და მოკრძალებით სუსტი ხმა გასცენ მშობელ ერის დაუმებელ ავადს.

ვინ მოგვცემს საბუთს, რომ ისინი გაანაღდებენ ქართველ ერის დაუყოვნებელ თამასუქებს?

ქართველი ერი, რასაკვირველია გვერდს აუვლის იმ ხალხსაც, ვინაც ერთის კალმის მოსმით საქართველოს კოხტა ტანისამოსს ძვირფასი სამკაულები ჩამოაცალა და თავის სოციალისტურ თავმოყვარეობას ანაცვალა მორჩილი და ახალქალაქი.

იმათ, ვინც უკრაინას და რუსეთის ცენტრებს თვალებში შესცქერიან და მათი ხმა თავის საკრავებზედ გადმოაქვთ, ქართველმა ერმა საკმარისი პასუხი გასცა მით, რომ ყველა არჩევნებში შავი ფერით შეღება.

უფრო უმნიშვნელო საქმეებში თუ ვერ მიიღეს ნდობა ს. ფედერალისტებმა, ერის ბედის გადაწყვეტას მათ არავინ უნდა ანდოს.

ქართველი ერის ინტერესები შეუძლია დაიცვას მხოლოდ მან, ვინაც ზრუნავს არა რომელიმე კლასის ინტერესებზედ განსაკუთრებით, და მის საჭიროებათა ვიწროობას არ ანაცვალებს მთელი ერის კეთილდღეობას.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დამცველია მხოლოდ საქართველოს ინტერესებისა და, თავისუფალი სოციალისტური მოკრძალებისაგან მტკიცედ ითხოვს განთავისუფლებას.

ეს პარტია არ არის ვაჭართა, გლეხთა, ან მუშათათვის მებრძოლი; იგი იცავს იმ საქართველოს, რომლის სახელმწიფოებრივი სიმტკიცისათვის თანაბრად საჭირონი არიან გლეხნიც, მუშანიც და ვაჭარ-მრეწველნიც, რადგან ყოველ მათგანს აქვს მიკუთვნილი თავისი სამუშაო და შეთანხმებული მოქმედება მათი ამოძრავებს მთელს ეროვნულ ორგანიზმს.

აბა მოაცილეთ რამდენიმე მათგანი ერს და მოლუნდება ნაწილი მისი სხეულისა. და თუ ერი დღეს გამსჭვალულია თავის საჭიროებათა შეგნებით, თავის სახელს ანდობს ამ პარტიას, რომელიც არჩევნებში 8 №-ით გამოდის.

ჩვენს წინ საქართველოს ისტორიის თეთრი წიგნია და საუკუნეები თავს დაგვცქერიან.

საქართველომ დღეს უნდა დასწეროს ამ წიგნში თავის ბედის გადაწყვეტის სურვილი!

**დ. ჯაფარიძე.**

# ბოლშევიკების დიქტატურა

## პეტროგრადში

### ლენინის დეპეშა დუხონინს

უმაღლესმა მთავარსარდალმა გენ. დუხონინმა ტელეგრაფით შეატყობინა კავკასიის ლაშქრის უფროსს, რომ სახალხო კომისარების საბჭომ დეპეშით წინადადება მისცა მტერს პარლამენტიორები გაუგზავნოს დროებით ზავის ჩამოსაგდებად. მაშინ დუხონინი შეეკითხებია, მიიღეს თუ არა მოკავშირეებისაგან პასუხი ზავის დეკრეტზე, რას უპირებენ რუმინელთა ლაშქარს, რომელიც რუსეთის ფრონტზე იბრძვის და აგრეთვე საყოველთაო იქნება ეს ზავი თუ სეპარატიული. ამაზე ლენინს, ჯუღაშვილს (სტალინს) და კრილენკოს უპასუხნიათ, დასრულის განკარგულება და თუ არა, გადადგეს და თავის მოვალეობა პრაპორშჩიკ კრილენკოს გადასცეს. ამის გამო გენ. დუხონინი აცხადებს, რომ ის არ სცნობს სახალხო კომისართა საბჭოს, ვინაიდგან ის არ უცვნია მთავრობად მთელ რუსეთს, და ამიტომ არც ანებებს თავს უმაღლეს მთავარსარდლობას მთელი სახელმწიფოს მიერ აღიარებულ, კანონიერ მთავრობის შექმნამდე.

შეიარაღებული წითელი გვარდიელები და იარაღი მოუთხოვნიათ მისთვის, მაგრამ პლეხანოვს იარაღი არ აღმოაჩნდა. შემდეგ შეეკითხებიან, რომელ წოდებისა ხართ, თქვენზე ხან ამბობენ მინისტრია, ხან ამბობენ სახ. სათათბიროს წევრიაო. იმავე საღამოს წითელ გვარდიელები მეორედ მისულან მასთან და კიდევ მოუთხოვნიათ იარაღი. მეორე დღეს კიდევ მისულან მესამედ და კიდევ გაუჩხრეკიათ. ამის შემდეგ პლეხანოვს სიცხე მისცა და ნახველში სისხლი ამოაქვს. მდგომარეობა საშიშია.

### მოკავშირენი და ზავის დეკრეტი

ტროცკის წერილმა დროებით შერიგების შესახებ არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა მოკავშირეთა ელჩებზე. ელჩები აცხადებენ, რომ სახალხო კომისრების საბჭოს უფლება არა აქვს მთელ რუსეთის სახელით გამოვიდეს, ამიტომ წერილს ოფიციალად არ განიხილავთო. წერილი მაინც ტელეგრაფით გაიგზავნა რომსა ლონდონსა და პარიზში.

### ბურჟუაზიულ გაზეთების გამოსვლა

გიორგობისთვის 9-ს პეტროგრადში ყველა ბურჟუაზიული გაზეთები გამოვიდა გარდა „რუსკაია ვოლია"-სი, „ნოვოე ვრემია"-სი, „რეჩ"-ისა და „ბირჟევია ვედომოსტი"-სა. გიორგობისთვის 10-ში „რეჩი" განცხადების წესით გამოვა.

### ბოლშევიკები და ბრეშკო-ბრეშკოვსკაია

სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტი ემუქრება ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას, დააპატიმრებთო.

### შიმშილი პეტროგრადში

უპურობის გამო პეტროგრადელებს კარტოფილს ურიგებენ.

### რედაქტორთა კავშირი და ბოლშევიკები

რედაქტორთა საზოგადოებამ გადასწყვიტა ყურადღება არ მიაქციოს ლენინის დეკრეტს განცხადებების მონოპოლიის შესახებ.

### გენ. დუხონინი და პრჟევალსკი

უმაღლესი მთავარ სარდალი დუხონინი კავკასიის მხედრობათა მთავარსარდალ პრჟევალსკის აცნობინებს: მე სიხარულით ვიზიარებ თქვენს ვაჟკაცურ გარდაწყვეტილებას და როგორც უმაღლესი მთავარ-სარდალი ვაცხადებ, რომ ვსცნობ მხოლოდ იმ პირს, ვინც რუსეთის რესპუბლიკის სრულ უფლებიან მთავრობის მიერ არის დანიშნული.

### განხეთქილება ბოლშევიკებში

კერენსკის დეპეშამ ბოლშევიკებში განხეთქილება გამოიწვია. ტროცკი აღიარებდა, ომი სრულს გამარჯვებამდე უნდა მივიყვანოთო. კამენევი ამის წინააღმდეგი იყო და შერიგებას მოითხოვდა.

### პლეხანოვის გაჩხრეკა

შეიტყობინებენ, პლეხანოვთან მისულან

### პრაპორშჩიკ მილერის დეპეშა

„მთავარ სარდალმა არ ისურვა ძმათა სისხლის ღვრის გაგრძელება და დასთანხმდა მოლაპარაკების დაწყებას. ამისთვის ჩვენ მოვუწოდებთ მეამბოხე ჯარის შტაბს, გაიწვიონ უკანვე ჯარი და ხაზი ლიგოვი, პულკოვა, კოპლინო ნეიტრალურ ხაზად გამოაცხადოს. პასუხი გადმოეცით პარლამენტიორებს არა უგვიანეს დილის 8 საათისა".

მთავარ-სარდლის შტაბის პრაპორშჩიკი მილერი.

### კერენსკის ცოლის დატუსაღება

დაატუსაღეს კერენსკის ცოლი ო. ა. კერენსკაია.

### ხაზინის ხელში ჩაგდება

გიორგობისთვის 7-ს სახელმწიფო ბანკში მივიდა ბოლშევიკების კომისარი მენჟინსკი შეიარაღებული რაზმით და ორკესტრით. კომისარს 10 მილიონი მანეთი მოუთხოვნია, მაგრამ რადგან ბანკის მოსამსახურეებმა პროტესტი განაცხადეს და გაფიცვით დაემუქრნენ, მენჟინსკი უკანვე გაბრუნდა თავისი რაზმით.

### პურიშკევიჩის დატუსაღება

პეტროგრადში ბოლშევიკებმა დაატუსაღეს პურიშკევიჩი, რომელიც სხვისი პასპორტით სცხოვრობდა ქალაქში. დაატუსაღეს აგრეთვე რასპუტინის მკვლელი თავადი იუსუპოვი გრაფი სუმაროკოვ-ელსტონი.

## მოსკოვში

### კერენსკის პასუხი

გიორგობისთვის 1-ს სრულიად რუსეთის რკინის გზათა კავშირმა შემდეგი პასუხი მიიღო ა. კერენსკიდან: „თქვენი წინადადება მიღებულია. გუშინ გამოვგზავნე ჩემი წარმომადგენლად კომისარი სტანკევიჩი. ველი პასუხს". ა. კერენსკი.

### ბოლშევიკები რკინის გზებზე

სრულიად რუსეთის რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირის ცნობები მიუღია სხვა და სხვა რკინის გზებიდან, რომ ბოლშევიკების ძალადობას რკინის გზის მოსამსახურეებზე საზღვარი არ უჩანს. თვითონ აწარმოებენ კონტროლს, დეპეშებს უცენზუროდ არ უშვებენ და კერძო მიწერ-მოწერისათვის ტელეგრაფით უფასოდ სარგებლობენ.

### მილიციის გაფიცვა

მილიციის უფროსი მოსამსახურენი გაიფიცნენ. მათ პროტესტი განაცხადეს ბოლშევიკების ძალადობის წინააღმდეგ.

### ბანკების დახურვა

რადგანაც ბოლშევიკები სახელმწიფო ბანკის საქმეებში ჩაერივნენ მოსკოვის განყოფილებამ ბანკი დახურულად გამოაცხადა. დაიხურა აგრეთვე ყველა კერძო ბანკები.

### გლეხთა ყრილობა

მოსკოვის გლეხთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა მოგილევში მოიწვიოს სრულიად რუსეთის გლეხთა ყრილობა.

### ოქროს ხელში ჩაგდება

სახელმწიფო ბანკის განყოფილების გამგე ბოლშევიკებმა გადააყენეს, რადგანაც მათი განკარგულება არ შეასრულა. მის მაგივრად დანიშნეს კომისრად პოპოვი. ამის შემდეგ ძალით გაიტანეს ბანკიდან დაგროვილი ხალასი ოქრო. ბანკის გაფიცულ მოსამსახურეებს მოსკოვიდან გაძევებით დაემუქრნენ ბოლშევიკები.

## ყუბანის ოლქში

### ბოლშევიკების გამოსვლა

კავკასიის სამხედრო კომისარ დონსკოის ეკატერინოდარიდან ბიჩი აცნობებს: ყუბანის ოლქში საერთოდ სიწყნარეა, თუმცა აქა იქ მცირე შეტაკებანი ხდება აგრარულ ნიადაგზე. ზოგან თვით გასამართლებასაც აქვს ადგილი. გავრცელებული ხმები, ვითომც საბჭოები გაუქმებიყოს, პროვოკაცია არის.

**გაზეთ „საქართველო"-ს რედაქცია და კონტორა ახალ ბინაზე გადავიდა სასახლის ქუჩა, № 5, თავად-აზნაურობის სახლი, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტთან.**

# ქრონიკა

## თბილისი

✦ მოქალაქენო! კონცერტები არ დარიგდება სახლებში, მათი მიღება შეიძლება მხოლოდ საარჩევნო დარბაზში შესვლის დროს. საჭიროა ყველა კომისიებში ჩვენი პარტიის წარმომადგენელნი იყვნენ.

✦ პირველი ნაბიჯი. გიორგობისთვის 11-ს თბილისში მოხდა შეერთებული კრება მომქმედ პოლიტიკური პარტიებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა წარმომადგენლებისა. კრებამ გაითვალისწინა რუსეთის ეხლანდელი მდგომარეობა და ის უტყუარი აზრი გამოსთქვა, რომ რუსეთში ამ ჟამად არავითარი პასუხისმგებელი მთავრობა არ არსებობს და ახლო მომავალში არც იქნება ასეთი მთავრობა. მდგომარეობა ასეთი დიდად საშიშოა ხალხის არსებობისათვის. ამიტომ კრებამ მიუცილებლად სცნა მოეწყოს ამიერ-კავკასიის დროებითი მთავრობა, რომელიც ხალხის კეთილდღეობაზე იზრუნებს. კრებაზე ამასთანავე გამოირკვა, რომ სურსათ-სანოვაგის მოტანა ჩრდილო კავკასიიდან შესაძლებელი იქნება საკმაოდ.

დაწვრილებით შემდეგ.

✦ ხურსათი. გიორგობისთვის 11-ს საგუბერნიო სასურსათო გამგეობამ მიიღო 7 ვაგონი ფქვილი და 1 ვაგონი ქერის კრუპა.

## ქუთაისი

✦ სასურსათო საქმე. ქალაქში პური ძლივ მოიპოვება. ორი დღე ფურნეები დახურული იყო. ქუთაისში სამი დღის სამყოფი სურსათ-ია ყოფილა. არის აგრეთვე რამდენიმე დღის სამყოფი ხორბალი, მაგრამ დაფქვა სჭირს. სასურსათო კომიტეტს დაუქირავებია სოფ. გეგუთში წისქვილები, მაგრამ ამ წისქვილებს დღეში შეუძლიან მხოლოდ 60 ფუთის დაფქვა, როდესაც ქუთაისს ყოველ დღიურათ 1500 ფუთი ფქვილი სჭირდება. ფქვილი თითო ვაგონი მოდის დღეში. სრულიად კავკასიის საოლქო სასურსათო სამმართველოს თავმჯდომარის ამხანაგი ვ. აბდუშელი სთხოვს ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს, გაუგზავნოს 1 მილიონი მანეთი, რომელიც დარჩენილია მიღებულ სურსათზე და აგრეთვე ნახევარი სეფასურები გიორგობისთვის გამოსაგზავნ სანოვაგეზე.

# მიწის მუშებს, გლეხებს!

მოისმინეთ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიტყვა მიწის შესახებ.

ჩვენ ვამბობთ:

1) არ უნდა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე.

2) მესაკუთრეს საკუთარი მიწის გაყიდვისა და სხვისი მიწის ყიდვის უფლება უნდა ჰქონდეს.

3) მიწის მუშამ არ უნდა იხადოს განსაკუთრებული იჯარა, ანუ რენტა, ხაზინის სასარგებლოდ, რადგან ამგვარი ბეგარა მას მძიმე ტვირთად დააწვება და გაღატაკებს, საკუთრებას, ხელიდან გამოაცლის, გააპროლეტარებს. ჩვენ მიწის მუშების გაპროლეტარება კი არა გვსურს, არამედ მათი საკუთრების გადიდება.

4) დიდ მემამულეებს გადაწყვეტილ ზომაზე მეტი მიწები უნდა ჩამოერთვას. რამდენი უნდა ჩამოერთვას? ამას გადასწყვეტენ თვით ხალხისგან არჩეული წარმომადგენლები. ჩამორთმეული მიწები კი—უნდა გადაეცეს მცირე მამულიან მიწის მუშებს კერძო საკუთრებად.

5) მემამულეებს, რომელთაც მიწები ჩამოერთმევათ, უნდა მიეცეს ხაზინიდან სასყიდელი. ხოლო მამულები უნდა შეაფასონ ადგილობრივ მცხოვრებთაგან არჩეულმა კომიტეტებმა.

რატომ არ ჩამოერთმევათ დიდ მემამულეებს მიწები უსასყიდლოდ? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მათი მამულების დიდი უმეტესობა ბანკებშია დაგირავებული, ბანკების ბილეთები კი ინგლისელების, ფრანგებისა და სხვა უცხოელების ხელშია. იმავე დროს ბევრი დიდი მამულის მიწა უცხოელებზედ იყიდეს და დაიმტკიცეს. და მათ რომ მიწები უსასყიდლოდ წავართვათ, უცხო სახელმწიფოები ომს გამოგვიცხადებენ. მაშასადამე, ის პარტიები, რომელნიც ეუბნებიან მიწის მუშებს, მამულები უფასოდ დაგირიგდებათო, ისეთს რასმე პირდებიან, რის ასრულებაც არ შეუძლიათ.

მეორე: უსასყიდლოდ მიწების ჩამორთმევა კერძო საკუთრების საფუძვლის დანგრევა იქნებოდა: თუ დღეს ისეთ მემამულეს ჩამოართმევთ მიწას, რომელსაც 200 ქცევა აქვს, ხვალ ათი ქცევის პატრონი მოითხოვს, რომ ოცი ქცევის პატრონს ჩამოერთვას ზედმეტი და მიწის მუშათა შორის დაუსრულებელი დავა და განხეთქილება ჩამოვარდება. მეორე მხრით, ერთი მესაკუთრის მამულს რომ ჩამოვსჭრით და მეორეს მივაკუთნოთ, პირველის მოსახლობაც დაინგრევა და ვერც მეორეს მოუვლის რიგიანად მუქთად შეძენილ მიწას. და, ამგვარი გადაჭრა და გადმოჭრა, წართმევა და გადაყოფა თუ დაუბრკოლებელი და დაუსრულებელი იქნება, მიწას ლოარავინ აღარ გააკეთებს, აღარ აპატივებს, აღარ შემოარაგვავს, აღარ გააშენებს ზედ ვენახს, ბაღსა და სხ. და მიწის-მოქმედება თანდათან უფრო და უფრო უარესი შეიქნება.

და, მესამე, უსასყიდლოდ მიწის შეძენა მიმღებისებლებს მუქთახორობის, მფლანგველობის ბილწოს გაუღვიძებს; იმავე დროს, შესაძლებელია, რომ ვინც დღეს მუქთად შეიძენს მამულს, ხვალვე მიჰყიდოს სხვას.

იმ მცირე მამულიან მიწის მუშებს, რომელნიც კი ჩამორთმეული მიწების შეძენას მოინდომებენ, სახელმწიფო დაეხმარება: ხაზინა გადაუხდის დიდ მემამულეებს მიწების გამოსასყიდელ ფასსა, მიწის მუშები კი ამ ვალს გადიხდიან წვრილწვრილად, ოციდან ორმოცი წლის განმავლობაში, ეს წლიური გადასახადი ერთობ მცირე იქნება. ამიტომ მიწის მუშებს სრულიადაც არ გაუჭირდებათ ვალის გასტუმრება. ჯერ ძველ დროსაც კი, როდესაც არავინ არ ეხმარებოდა, ბევრი მამული იყიდეს დიდი მემამულეებისაგან და, როდესაც მამულების დაფასებაცა და ვალის გადახდის დაწესებაც თვით ხალხისაგან არჩეული წარმომადგენლების საქმე იქნება და იმავე დროს ხაზინა ფულს დიდი ვადითა და იაფად ასესხებს, მაშინ ხომ აღარავის გაუძნელდება მამულის ყიდვა.

როდესაც მიწის მუშები მამულებს შეისყიდიან, ეს შესყიდული მამულები მათ საკუთრებათ დარჩებათ.

მიწის მუშას ან სხვა მემამულეს, რომელსაც არა ჰყავს თავის ოჯახში საკმაო მუშა ხელი, უფლება უნდა ჰქონდეს დაიმუშაოს თავისი მიწები დაქირავებული მუშების ხელით. რატომ? ჯერ ერთი, მიტომ, რომ მიწა არის ერთად-ერთი წყარო მესაკუთრის არჩენისა; მეორე, გაუმჯობესებული მიწის მოქმედებისათვის, პატარა მამულზე ბევრი მუშა ხელია საჭირო და, თუ მუშების დაქირავება აკრძალული იქნება, მიწის მოქმედება აღარ გაუმჯობესდება და საერთო სიღატაკე და სიღარიბე ჩამოვარდება; და მესამე, მუშების დაქირავება რომ აკრძალონ, რით-ღა უნდა იცხოვრონ იმ მუშებმა, რომელთაც მათს მიწებზე საკმაო საჩინო არ მოსდით!! ხომ შიმშილისაგან დაიხოცებიან!! და ეს ხომ ხელს შეუშლის ხალხის გამრავლებას, რომელიც არის უმთავრესი მიზეზი ეკონომიური წარმატებისა.

დასასრულ, საქართველოში მიწების ჩამორთმევისა და განაწილების საქმე ქართველი ხალხისაგან არჩეულმა წარმომადგენლობამ, ანუ საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოს და არა რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ.

რუსეთში დიდი ხნიდან იყო და დღესაც არის ჩვეულება, რომ მიწის მუშები მიწებს დრო გამოშვებით გაიყოფენ ხოლმე ერთმანეთის შორის

# ჩვენი საარჩევნო ბიულეტენი

| № 8 | Закавказскій Избирательный Округъ | № 8 |
|---|---|---|

**Голосую за списокъ**
Грузинской Націоналъ демократической партій

**№ 8**

1. Кедія, Спиридонъ Малхазовичъ
2. Гвазава, Георгій Бежановичъ
3. Карумидзе, Шалва Александровичъ
4. Мачаваріани Іосифъ Константинович
5. Бежанидзе, Сулейманъ Бегъ
6. Церетели, Василій Георгіевичъ
7. Вешапидзе, (Вешапели) Григорій Георгіевичъ
8. Журули, Георгій Дурмишхановичъ
9. Гордезіани, Георгій Павловичъ
10. Иваницкій (Ингило) Рафаилъ Александровичъ
11. Кекелидзе, Корнелій
12. Нижарадзе, Реджебъ Бекъ
13. Торадзе, Александръ Давидовичъ

**ხმას ვაძლევ ქართულ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სიას**

**№ 8**

1. კედია, სპირიდონ მალხაზის ძე
2. გვაზავა, გიორგი ბეჟანის ძე
3. ქარუმიძე, შალვა ალექსანდრეს ძე
4. მაჭავარიანი, იოსებ კონსტანტინეს ძე
5. ბეჟანიძე, სულეიმან ბეგი
6. წერეთელი, ვასილი გიორგის ძე
7. ვეშაპიძე, (ვეშაპელი) გრიგოლ გიორგისძე
8. ჟურული, გიორგი დურმიშხანის ძე
9. გორდეზიანი, გიორგი პავლეს ძე
10. ივანიცკი, (ინგილო) რაფაელ ალექსანდრეს ძე
11. კეკელიძე, კორნელი
12. ნიჟარაძე, რეჯებ ბეგი
13. თორაძე, ალექსანდრე დავითის ძე.

ჩვენი პარტიის საარჩევნო ბიულეტენი უკვე დაბეჭდა საარჩევნო ცენტრალ კომისიამ და დაიგზავნა პროვინციაში. შესაძლოა რომელიმე კუთხემ დროზე ვერ მიიღოს ბიულეტენები ან მიღებული რიცხვი არ ეყოთ. ამიტომ უნდა მიღოთ ქაღალდი და თქვენ თვითონვე დაამზადოთ სწორედ ამ ზომის ბიულეტენი, როგორიც დაბეჭდილია. ბიულეტენი ან ხელით უნდა გადასწეროთ და ან დაბეჭდოთ. სოფლებში ეს ადვილი მოსახერხებელია, რადგან არჩევნები მთელი კვირის განმავლობაში მოხდება. დაიწყება გიორგობისთვის 12-ს და 19 მდე გასტანს.

ამიტომ მიაჩნიათ რუსეთის პოლიტიკურ პარტიებს საჭიროდ მიწულების დროებით[illegible] გაყოფა. და, ეს საქმე თუ რუსეთის დამფუძნებელ კრებას მიეანდვეთ, ხსენებული კრება ჩვენთვისაც დააწესებს, დააკანონებს მიწების დროებ მოწყებით გაყოფას მესაკუთრეთა მორის. ეს წესი კი სრულიადაც არ შეეფერება ჩვენს ცხოვრებას.

მაშასადამე, ჩვენი მიზანი არის: **მიწა მიწის მუშებს კერძო საკუთრებად და მიწის განაწილების საქმის გადაწყვეტა ქართველი ხალხის წარმომადგენლობის მიერ.**

მაშ გაუმარჯოს მესაკუთრე მიწის მუშას! გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს თავისუფალ რუსეთში! გაუმარჯოს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას!

მიწის მუშებო!

ვისაც გწამთ, რომ მიწა უნდა ჰქონდეს მიწის მუშებს, როგორც კერძო საკუთრება, და არა, როგორც ზიარი ან საიჯარო ქონება, მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სიას, ე. ი. მერვე ნომერს.

## მოწოდება ქართველ ვაჭარ-მრეწველთა და ხელოსანთა მიმართ

ჩვენი ხმა ჯერ არავის გაუგონია. მთელი ერის მონობამ ჩვენც დაგვადუმა. ახალ ცივილიზებულს ვაჭრობა-მრეწველობას უცხო მთავრობა, არა თუ გზას არ უკაფავდა ჩქარი ნაბიჯით წინ სავლელად, არამედ ხელებს უბორკავდა.

ჩვენც, ჯერ კიდევ სუსტნი, ან ქედმოხრილი ვასრულებდით რუსთა ბრძანებას ან მაჩანჩალად მივყვებოდით იმ პარტიებსა, წრეებსა და ჯგუფებს, რომელნიც მხოლოდ ძველი მთავრობის საწინააღმდეგოდ რაზმავდნენ ხალხს.

საბედნიეროდ, დრონი იცვალნენ, ძველი წესწყობილება დაემხო და თავისუფლების

„ალმობრწყინდა მზე დიდებულათა
და განანათლა ქვეყანა ბნელი".

მშრომელ ჯგუფს შორის ჩვენც გვეკუთვნის საპატიო ადგილი; ჩვენი დახლი ისეთივე პატივსაცემი სამოქმედო ასპარეზი არის, როგორც ვექილის ტრიბუნა, ექიმის სალოსტაქრო მაგიდა, ან და სოფლის მუშის ყანა და ქარხნის დაზგა.

ევროპიელთ ეს დიდი ხანია შეგნებული აქვთ და ვაჭარ-მრეწველთა სიტყვას, თუ მეტი არა, სხვა კლასთა და ჯგუფთა სიტყვებზე ნაკლებ არ აყენებენ სახელმწიფოს მოწყობა-მოვლაში.

ქართველ ვაჭარ-მრეწველთა და ხელოსანთა წრე, ეს ის წრე არის, რომელსაც აქამდის შეგნებულად შეეძლო ქონდა და აწ კი მიზან-შეწონილად და შეგნებით უნდა შემოიტანოს საქართველოში ევროპის მაღალ-კულტურიანი სახელმწიფოებრივი და სამოქალაქო წესები.

ამ განკითხვისა და გარდატეხის ხანაში ჩვენ ერთმანეთს უნდა ვუხრათ, თუ რა მიგვაჩნია ჩვენი ქვეყნისათვის საუკეთესოდ და ნათქვამის დასაცავად, როგორც ერთი კაცი, ისე გამოვიდეთ.

ჩვენ მოვითხოვთ: 1) აღდგენილ იქნას ტრაქტატი 1783 წლისა, რათა ქართველ ერს საშუალება მიეცეს თავისი საქმე თვითონვე მოაწყოს, 2) დაცულ იქნეს კერძო საკუთრება, ვინაიდან იგი არის ფუძე საზოგადოების აღყვავებისა და განვითარებისა.

ქართველნო ვაჭარნო, ხელოსანნო და მრეწველნო! ამ ორი დებულების მედგრად დამცველი არის საქართველოში მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია! მას დაუჭირეთ მხარი, მის სიას, № 8 მიეცით ხმა დამფუძნებელ კრებისათვის! თუ ვინმე შეუწყობს ხელს საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევას, მათ შორის ვიქნებით ჩვენც, რადგან უმთავრესი მისწრაფება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა სწორედ ის არის, რომ დაჩქარებით მოწვეულ იქმნეს საქართველოს დამფუძნებელი კრება.

**მიეცით ხმა ხრულიად საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სიას № 8 ს.**

**ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოების საბჭო.**

## ქართველ ისრაელების მოწოდება

3000 წელია მას შემდეგ, რაც ჩვენი ძვირფასი სამშობლო—საქართველო წინამძღოლობისა და შეგნებულ ცხოვრების გზას ადგია. ამ ხნის განმავლობაში ბევრი საშინელი წუთები განიცადა მან და ნ-ეკლით მოფენილ მრავალ გზით სიარულმა მაინც ვერ ამცდინა იგი მე-20 საუკუნის კულტურულ ერთა ცხოვრებას. მრავალი გაჭირვება და სიხარული იგემა ჩვენმა საქართველომ. არც ერთ გაჭირვებას ისე მწარედ არ დაუკლავს მისი სხეული, როგორც 117 წლის მონობას, რომელიც ძველი, აწ უკვე დამხობილი რუსეთის ხელში გაატარა მან. ამ მწარე ტკივილების მორჩენის შემდეც დაუდგა ცხლა ჩვენს სამშობლოს და ჩვენ, ისრაელებიც, მიგვაჩნია ვართ ისეთივე მონაწილეობა მივიღოთ მისი დაკოდილი გულის გამრთელებაში, როგორც მოვალენი არიან ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები.

ქრისტიანებთან და მაჰმადიანებთან ერთად მოვალეთ ჩვენც დღევანდელ დღემდის და მოვალეთ ისე, როგორც არ მოუღწევია არც ერთს ჩვენს ერთმორწმუნეს არც ერთს ქვეყანაში. ყველგან ჩაგრული იყო ის ადამიანი, ვისაც მოშეს თორა სწამდა, ყველგან არბევდნენ ისრაელებს, აეწიოკებდნენ, ხოლო ჩვენს სამშობლო საქართველოს, ისრაელების სისხლით არ შეულებავს თავისი ტერფი და მადლიანი მიწები.

ჩვენ ვიყავით სრულებით თავისუფალი და თანასწორ უფლებიანი მოქალაქენი ჩვენის სამშობლოისა.

ჩვენი დედა საქართველოს ასეთი ბრწყინვალე ამაგი და ღვაწლი ჩვენდამი გვავალებს ჩვენც მოვიხადოთ მის წინაშე ვალი.

რაში უნდა გამოიხატებოდეს ჩვენი ვალის გადახდა?

**სამშობლოსადმი სამსახურში:** ჩვენი დედა-ენის, საქართველოს საზღვრების დაცვაში და ცხოვრების იმ დონეზე დაყენებაში, რომელიც ეკონომიურად და პოლიტიკურად გაუთანასწორებს ჩვენს სამშობლოს სხვა მაღალ-კულტურიან ერებს.

ამ მიზნების მისაღწევად იბრძვის **საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.**

ეს პარტიაც აგზავნის თავის წარმომადგენლებს რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე. სია ამ პარტიისა არის № 8. რაც მეტი წარმომადგენელი იქნება ამ პარტიისა დამფუძნებელ კრებაზე, მით უფრო უკეთესი და საბედნიერო იქნება ჩვენთვისაც—ქართველი ისრაელებისათვისაც-და აი რატომ:

1) სია № 8 იცავს კერძო საკუთრებას, რომელმაც გაუხსნა გზა ადამიანის შრომას, შემოქმედებას, თაოსნობას და მით განამტკიცა პროგრესი და ცივილიზაცია.

2) სია № 8 აძლევს ქართველ ისრაელთა სარწმუნოებას სრულ თავისუფლებას და ეცდება მოეწყოს ჩვენი სარწმუნოებრივი მმართველობა დამოუკიდებლად და ავტონომიურად (იხ. ეროვნ.-დემოკრ. პარტიის პროგრამის მე-14 გვერდი).

3) სია № 8 ეცდება, რათა ხალხისთვის საჭირო ყოველი საქონელი ადგილობრივ მზადდებოდეს, რათა ჩვენი მეურნეობა, მრეწველობა და ადებმიცემობა უფრო განვითარდეს.

ამიტომ, ქართველო ისრაელო, ქალი ხარ თუ კაცი, შენ როგორც კერძო საკუთრების მომხრე, როგორც ისრაელთა სარწმუნოების მოყვარული, როგორც სამშობლოს ეკონომიური ძლიერების მოტრფიალე, **მოვალე ხარ ხმა მისცე მხოლოდ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სიას № 8.**

**ეროვნულ-დემოკრ. მიმართულების ქართველი ისრაელები.**

## ნოე ჟორდანიას ჩვენება

(მიხაკო წერეთლის წერილის შესახებ)

პარასკევს, 10 გიორგობისთვის, ცენტრალ საარჩევნო კომისიაში ნოე ჟორდანიამ შემდეგი ჩვენება მისცა.

„ჩემდამი წარმოდგენილ ბარათს ცენტრალ საარჩევნო კომისიისადმი, მიხეილ გიორგის ძე წერეთლის მიერ ხელმოწერილს, რუსულ ენაზე (რადიკალ დემოკრატებისა), წერეთლის ხელად ვერა ვცნობ, ხოლო ქართულს წერილს მის მიერვე ხელმოწერილს (ეროვნულ-დემოკრატებისა), რომელშიაც უარს აცხადებს ვისიმე სიით თავის კანდიდატურის წამოყენებაზე, ვცნობ მის ხელად".

ნ. ნ. ჟორდანია.

თბილისი 10 გიორგ. 1917 წ.

როგორც გუშინ უკვე იყო დაბეჭდილი, წერილი რადიკალ-დემოკრატების მიერ წარმოდგენილი ყალბად იქმნა მიჩნეული და მათი სია № 16 მოხსნილია საქმის წარმოებიდან.

ამ სიებისადმი მიცემული ხმები მხედველობაში მიღებულნი არ იქნებიან.

## საქართველოს ეროვნული ყრილობა

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო იწვევს 1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობას. თანახმად ეროვნულ საბჭოს დადგენილებისა, ეროვნული ყრილობა განიხილავს თავად-აზნაურთა ქონების მიღების და მოვალ-გაძღოლის საქმეს, თანამედროვე საჭირბოროტო საკითხებს და სხ.

საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიული საბჭოს გადაწყვეტილებით ეროვნულ ყრილობაზე მოწვეულნი არიან:

1. საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს შემადგენლობიდან 25 კაცი.

2. სათავად-აზნაურო საკრებულოთა წარმომადგენელნი: თბილისის—12, ქუთაისის—8.

3. ქართულ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელნი, თითოსგან ორორი.

4. საგუბერნიო და საოლქო ქალაქების თვითმართველობის წარმომადგენელნი: თბილისის—5, ქუთაისის—5, ბათუმის—3, სოხუმის—3, ზაქათალის—1.

5. სამაზრო ქალაქების თვითმართველობის წარმომადგენელნი: თითოთითო გორის, თელავის, სიღნაღის, დუშეთის, ახალციხის, ახალქალაქის, ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთის.

6. უმაზრო ქალაქების თვითმართველობის წარმომადგენელნი: ფოთის—2, დანარჩენთა თითო-თითო: სურამის, ბორჯომის, ხაშურის, ხონის, ჭიათურის, სამტრედიის, ლანჩხუთის, გუდაუთის, ოჩამჩირის, გაგრის.

7. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთა წარმომადგენელნი: სამ-სამი: დუშეთის, თიანეთის, თბილისის, თელავის, სიღნაღის, ბორჩალოს, გორის, ახალქალაქის, ახალციხის, ყვირილის, ლეჩხუმის, რაჭის, ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის; თითო თითო: ართვინის, არდაგუჯის, ძანსულის, გონიის, იშერხევ-შავშეთის, ზემო-აჭარის, ქვემო აჭარის, ზაქათალის, ვანის, ალიაბადის, გუმისტანის, გუდაუთის, კოდორის (ოჩამჩირე), სამურზაყანოს (გალი).

8. ქართველ საკულტურო დაწესებულებათა წარმომადგენელნი: ქართულ კულტურულ - განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირის, — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების—2, თითო-თითო: საქართველოს საისტორიო საზოგადოების, თბილისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების, ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების, „განათლების" საზოგადოების, ქართული საქველმოქმედო საზოგადოების თბილისის, ქართული დრამატიული საზოგადოების, ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების, ქუთაისის საზოგადოების „სინათლე". ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების, ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების, თბილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების, თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების, ქუთაისის ქართველ ქალთა საზოგადოების, ქართველ ხელოვანთა საზოგადოების, თბილისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების, ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების, ქართველ უნივერსიტეტის საზოგადოების, ქართველ მწერალთა კავშირის, ქართველ მსახიობთა კავშირის, ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების, ქართველ ტეხნიკოსთა საზოგადოების.

9. თითო-თითო—მოსკოვის, პეტროგრადის, კავკავის, ბაქოს, როსტოვის, კულტურულ ცენტრების.

10. ქართველ მაჰმადიანთა საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი—3.

11. ქუთაისის ქართველ ისრაელთა ინტერპარტიულ საბჭოს და კულტურულ საზოგადოების—20.

12. საქართველოს მასწავლებელთა კავშირების წარმომადგენელნი: თბილისის, ქუთაისის და ბათუმის—სამ-სამი; სამოსწავლო კომისარიატთან არსებულ ნაც. საპედაგოგიო საბჭოს—1.

13. ნაფიც ვექილთა საბჭოსი—1.

14. ჯარისკაცთა კავშირის წარმომადგენელნი—5.

15. საქართველოს [illegible] და საოლქო კოოპერატიულ კავშირთა წარმომადგენელნი [illegible]

16. [illegible] კავშირების წარმომადგენელი—10.

17. სათავადაზნაურო (თბილისის და ქუთაისის) ბანკების ორ-ორი წარმომადგენელი; ამიერ-კავკასიის ბანკის—ორი წარმომადგენელი.

18. ვაჭრობა-მრეწველთა წარმომადგენელი (შავი ქვა, ნავთი, ვაჭრობა-მრეწველობა)—8.

19. საკათალიკოსოს წარმომადგენელი—1.

20. დამფუძნებელ კრებისთვის არჩეული დეპუტატები.

ყრილობის წევრთა არჩევნები, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, უნდა ხდებოდეს პროპორციული წესით. ყრილობის წევრთა რიცხვის გადიდების საკითხი წყდება საქ. ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოში.

ყრილობის წევრებმა უნდა წარუდგინონ ს. ე. ინტერპარტიულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს თავისი მანდატები არა უგვიანეს ნოემბრის 18-სა და მიიღონ მისგანვე ყრილობის სხდომაზე შესასვლელად ბარათები. მანდატებს აღმასრულებელი კომიტეტი წინასწარი განხილვის შემდეგ გადასცემს ყრილობის პრეზიდიუმს. მანდატების შემოწმება და დამტკიცება ეკუთვნის თვით ყრილობას.

ეს განცხადება ეროვნულ ყრილობის მოწვევის შესახებ უნდა იბეჭდებოდეს ყველა ადგილობრივ და პროვინციალურ ჟურნალ-გაზეთებში, დღევანდლიდან ყრილობის მოწვევამდე.

**საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს აღმასრ. კომიტეტი.**

—

თანახმად ეროვნულ ინტერპ. საბჭოს დადგენილებისა არჩეულ იქმნა კომისია, რომელსაც ევალება 19 ნოემბრისათვის დანიშნულ ეროვნულ ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებულ ტეხნიკურ საქმეების მოგვარება და გაძღოლა.

კომისიაში შედიან: შ. ქარუმიძე, ი. მაჭავარიანი, პ. ქავთარაძე, პ. ბარათაშვილი, დ. სულიაშვილი, მ. გავაშელი, მ. საყვარელიძე. კომისია უკვე შეუდგა თადარიგს.

კომისიის მისამართი: საქ. ეროვნ. ინტ. საბჭოს ბინა—ფრეილინის ქუჩა № 11. სადეპუტატო საკრებულოს სახლი.

## ლ. ა. ზოდელავას სიტყვა

(წარმოთქმული ფოთში, ვაჭარ-მრეწველთა კრებაზე)

მოგეხსენებათ, ჩვენ, ქართველები, ძალიან ძველი ხალხი ვართ, გვაქვს აუარებელი საბუთები ჩვენი ქვეყნად დიდი ხნის არსებობისა, ბევრჯელ გვქონია ბედნიერი დღეები თავისუფლებისა და ბევრჯერ კი, მტრის ძალასაც გაუტეხივართ. მაგრამ ქართველი ერი მუდამ და ყოველთვის იყო მოყვარული თავისი მიწა წყლისა, თავისუფლებისა და როგორც კი დროს იხელთებდა მაშინვე ამბოხებას იწყებდა და მტერს აპარცხებდა და სამშობლოს ანთავისუფლებდა.

აი, ასე დიდის სისხლის ღვრითა და ვაჟკაცობით, საქართველომ შეინარჩუნა თავის გეოგრაფიული რუკა და 1800 წლის მიწურულამდე მოგვიყვანა.

1783 წელს კი მაშინდელმა საქართველოს ღირსეულმა მეფემ ირაკლიმ გადასწყვიტა მრავალი ომისა და შინაური დაღლილობისაგან ქანც მილეული საქართველო რუსეთისათვის შეერთებინა, ამისათვის შესაფერი ტრაქტატიც დასდო რუსეთსა და საქართველოს შორის, სადაც შეძლებისდაგვარად დაცული იყო საქართველოს ყველა უფლებები.

დაამტკიცა თუ არა მეფე ირაკლიმ, საქართველოს რუსეთთან შეერთებით, ამაზე არას ვიტყვი, მაგრამ ის კი ცხადია, რომ რუსეთმა ბოროტად ისარგებლა საქართველოს გულკეთილობით, არც ტრაქტატის დაცვაში შეიწუხა თავი, საქართველოს ბიეპყრა არა როგორც პირობით შეკრულს, უფლებიან მოკავშირეს, არამედ როგორც დაპყრობილ-დამონავებულ ქვეყანას.

ასე დაიწყო რუსეთმა ბატონობა ჩვენში, ასე განვლიეთ ამ ყოფაში ავერ 117 წელი.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ქართველი მოღვაწეები და მწერლები, განურჩევლად მიმართულებისა, უნერგავდნენ ქართველ ხალხს მამულისა და თავისუფლებისადმი სიყვარულს და, მიუხედავად ცენზურის სისასტიკისა, მაინც აჰერხებდნენ და ფუმნებოდნენ ქართველ ერს:

„რა ენა წარხდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას"-ო.
„აღზდეგ, გმირთაგმირო, ნუ გძინავს, მტერთა ისმიან ხმანიო". „გმირებს დაიძებს, უყვის ჩემი დაფი და ნაღარა"-ო. „ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუდნოსო" და ბევრი სხვა შესანიშნავი სიტყვები ესმოდა ქართველ მკითხველ საზოგადოებას, მაგრამ ყველა ამითა-

# დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის

**თბილისი დაყოფილი იქნება ორმოცდა ოთხ საარჩევნო უბნად, სადაც თითეული მოქალაქე ბინადრობის-და მიხედვით უნდა გამოცხადდეს თავის მოქალაქობრივი ვალის მოსახდელად.**

1. საარჩ. უბნის ბიურო მოთავსებულია საბურთალოს თეატრში.
2. „ „ ფანჯარაძის სახლში (ვაკეს პროს.)
3. „ „ საქალაქო სკოლაში (ოლღას და წყნეთის ქ. ქიმი № 52).
4 „ „ საქალაქო სკოლაში (ჰასან ჯალილოვის სახლი, იზმაილოვის და ბელინსკის ქ. ქიძი).
5. „ „ სამიწათმზომლო სასწავლ. (გუნიბის ქ., მირზოიანცის სახლი).
6. „ „ ზუბალაშვილისეულ ღარიბთა თავშესაფარში (სასამართლოს ქ.)
7. „ „ მამადავითის საქალაქო სკოლაში.
8. „ „ საარტისტო საზოგადოებაში (გოლოვინის პრ.)
9. „ „ ვაჟთა პირველ გიმნაზიაში (გოლოვინის პრ.)
10. „ „ საქალაქო საპროფესიო სკოლაში (ჟუკოვსკის ქ.)
11. „ „ ქალთა მესამე გიმნაზიაში (ბებუთოვის ქ.).
12. „ „ პუშკინისეულ საქალაქო სკოლაში (აფრიკიანის სახლი, ბებუთოვის ქ. და კოჯრის შესახვევის ქიმი).
13. „ „ ხელოსანთა გამგეობა (რუსის ქუჩის ბოლოს, ნერსესიანი სემინარიის სახლი).
14. „ „ საქალაქო სახელოსნო სასწავლებელში (ერეკლეს ქ.).
15 „ „ კათოლიკეთა ეკლესიის სკოლაში (კათოლიკეთა ქ.).
16. „ „ მუსულმანთა დრამატიულ საზოგ. აუდიტორიაში (ბოტანიკ. ქ.)
17. „ „ საქალ. პუშკინისეულ სკოლაში (სურპსარქისის ქ.)
18. „ „ ტოლლეს ქარხანაში (ვორონცოვის ქ.).
19. „ „ პირველ დაწყებით სკოლაში (კახეთის ქ. № 60).
20. „ „ საგანმანაწილებლო პუნქტი (წინად ნიჟეგოროდის პოლკის ყაზარმები).
21. „ „ ნადეჟდის სახელობის თავშესაფარში (რეიტერის ქ.).
22. „ „ ქალაქის სკოლაში (ნუნუფაროვის სახლი, ველიაბრის ქ. და რონზოვის მიყვდის ქიძი).
23. „ „ არაქაიანის თეატრში.
24. „ „ ველაირის კლუბის საზამთრო შენობაში.
25. „ „ ნიკოლოზისეულ უმაღ. პირველ დაწყებით სკოლაში (კასვეროვის ქ.).
26. „ „ ტერ ზაჩატურიანცის სახლში (რკინის გზის ლიანდაგის იქით არიელტოროვანი ქ. ბიროზოვისეულ მამულში, აწ. „ლორმინეცის" განყოფილების გვერდით).
27. „ „ მეორე საკომერციო სასწავლებელში (პანასევიჩის ქ.)
28. „ „ მეოთხე მომრ. მოსამარ. განყოფილებაში, სურპ-კარაპეტის ხევთან).
29 „ „ მოლაკანთა საქველმოქმ. საზოგ. სკოლაში (დესიმონოვის ქ.)
30 „ „ სახელოსნო კლუბში (მიხეილის პრ.)
31 „ „ მესამე მომრ. მოსამარ. განყოფილებაში (ტურგენ. ქ.)
32 „ „ პეტრე დიდის საქალაქო სკოლაში (ჩერქ. ქ. № 29).
33 „ „ ნადიროვკაში, ანტ. ქუჩის ბოლოს, მუშათა კლუბში.
34 „ „ ძმ. სეილანოვების ფაბრიკაში (ბატარეინი და ელისაბედის ქ. ქიმი).
35 „ „ საარტისტო საზოგ. საზაფხულო შენობაში.
36 „ „ აბელის აუდიტორიაში (აბელის მოედანი),
37 „ „ მელიქხელოვის სახლში (ლოტკინის ქ. № 24)
38 „ „ ნაძალადევის თეატრში.
39 „ „ საქალაქო ვაჟთა სკოლაში (პავლოვსკის და ჩერქეზიშვილის ქ. ქიმი № 111/2).
40 „ „ ამხანაგობა „ვეფხის" კანტორაში რკინის გზის ლიანდაგთან).
41 „ „ ბავშვებისთვის მზრუნველ საზოგადოების სკოლაში (დიდუბის და ლოხლუკ-კორსაკოვის ქუჩების ქიმში).
42 „ „ სამდლონო სკოლაში, (მუშტაიდის შესახვევი).
43 „ „ ავჭალის წყალსადენის სადგურში.
44 „ „ სადგური ხევძლუდი, (ნავთლუღი ბაქოსი და კახეთისა, კახეთის რკინის გზის დეპო და საქალაქო ახალი სასაკლაო).

თვის საჭირო იყო რამე პროგრამმა, და ასეთზე ხოლოდ ფიქრი შეიძლებოდა და გასაკეთებლად კი საჭირო ძალას აძინებდა და აი სწორედ ამისთვის სთქვა მწერალმა „არსით ხმა არსით ძახილი, მშობელი შობილს ასარ მეტყოდა", მაგრამ

თუნდაც რომ მშობელს შობილისთვის რამე ეთქვა, რა შეეძლო ეკეთებინა საქართველოს იმ დროს, როცა რუსეთი სრულებით ძალით იყო დაძინებული და რუსეთის მთავრობისთვის კი სულ ადვილი იყო არა თუ საქართველოს მოძრაობის, თვითონ საქართველოს მოსპობაც კი.

ამ დროს გაისმა ჩვენის დიდ ხელის თანამედროვეთა საბედნიერო პირის კოჩაქიძის ხმა

„მაშ დღეგრძელი, შვილებო გაუქნიეთ ვიყოთ, ფრთხილი, თუ გაწყდება სისწორისთვის დეე იყოს გატეხილი".

აქვე იწყებს მუშაობა მესამე დასელებმა, ამას მოასწრო რუსეთის პირველმა 1905 წლის რევოლუციამ და, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ იყო და არც დღეს არის ნიადაგი სოციალისტურ მოძღვრებისათვის, ქართველმა ერმა, დაიმედებულმა რომ მას სოციალ-დემოკრატიული პარტია მიანიჭებდა ყოველნაირ თავისუფლებას, როგორც ერთი კაცი გვერდში ამოუდგა ს.-დ. პარტიას და არა ერთი ღირსეული დეპუტატი უძღვნა რუსეთის პარლამენტს. ვის არ ახსოვს ქართველი მოღვაწის იგივე ჯომართელის სიტყვა, რითაც მან მიმართა სათათბიროს წევრებს და უთხრა „თქვენ დაამტკიცეთ, რომ თქვენ ხალხის წარმომადგენელნი კი არა, ლაჩრები ხართო". ვის არ ახსოვს კაკი წერეთლის თამამი პასუხი, რომელიც მან გასცა სტოლიპინის დეკლარაციას ისიც იმ დროს, როცა რუსეთი შიშით იყო მოცული, მოიგონეთ ე. გეგეჭკორის სიტყვა და სიტყვა ჩხენკელისა აგრეთვე სხვა დეპუტატების გაბედული სიტყვები და საქმეები და დარწმუნდებით, რომ ქართველმა დეპუტატებმა დიდი შრომა და ღვაწლი დასდეს რუსეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობის განვითარებაში და საზოგადოთ ს.-დ. პარტიას დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსეთის რევოლუციაში, სამაგიეროდ ქართველი დეპუტატები არასფერს აბობდნენ საქართველოზე და ყველა საქართველოს საქმეებს კი რუსეთი ცენტრალისტურ მმართველობას აბარებდნენ, ეს კი უკმაყოფილებას იწვევდა ბევრ ქართველის გულში და აი ამ უკმაყოფილებამ იწვევს თავის მოყვანა ა. ჯორჯაძის, ესე იგი, სოც.-ფედერალისტების დროშის ქვეშ. ს.-ფ. დაიწყეს მუშაობა, აწინდე შეუტიეს ს.-დ. გაზეთების ფურცლებზე და გაიმართა დიდი ბრძოლა ს.-დ. და ს.-ფ. შორის რაც დღემდისაც გრძელდება, მაგრამ ვერც ს.-ფ. შექნენ ნამდვილი გამომხატველნი ქართველი ერის მოთხოვნილებისა, რადგანაც როგორც ს.-დ. ისე ს.-ფ. აღრმავებდნენ კლასთა ბრძოლას, იცავდნენ მხოლოდ პროლეტარის ესე იგი, მოგანითა ინტერესებს, რომლის რიცხვიც საქართველოში ძალიან ცოტაა და დანარჩენი ნაწილი კი, როგორც კერძო მესაკუთრეები, ვაჭარ-მრეწველნი, ხელოსნები ისე ყველა ისინი, ვისაც სოციალიზმისა არაფერი ესმოდათ, უწარმომადგენლოთ რჩენ, მათ ინტერესებს არავინ არ იცავდა, თვითონ ორივე პარტია, როგორც ს.-დ. ისე ს.-ფ. მათი მტრები იყვნენ და აი ამ კლასს ადრე თუ გვიან უნდა წარმოეყენა თავისი პარტია, და ეს სწორეთ ასეც მოხდა, ამ სამი ოთხი წლის წინეთ გაჩნდა, დაიბადა, დაარსდა ასეთი პარტია, რომელსაც სახელად ეწოდა ნაციონალ-დემოკრატიული, ანუ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, უბრალოდ რომ ვსთქვათ, ეროვნულ დემოკრატიული პარტია წარმოშვა თვითონ საქართველოს ცხოვრების სინამდვილემ და ამიტომ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ პარტიას ექნება ქართველი ერის ცხოვრებაში დიდი მომავალი.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არ არის პარტია რომელიმე წრისა ან კლასისა, არამედ ეროვნულ დემოკრატიული პარტია არის პარტია [illegible]

რების საძნელო სამუშაოების დამუშავებანი, ან მაშინ, როცა არავინ იქნება პირადად თავისი „მე"-ზე დაინტერესებული, ვინ უნდა შეიწუხოს თავი ტეხნიკისა, კულტურისა თუ სხვა და სხვა გვარი მეცნიერების განვითარება აყვავებაში, ან როგორი უნდა მოგვარდეს საზოგადოების ყველა წევრთა საზოგადო საწყობებიდან დაკმაყოფილება? თუნდაც რომ ასეთ საწყობებში ბევრიც ეწყოს, უნდა ეწყოს ერთი და იგივე ხარისხის საქონლები, ესე იგი ისეთი საქონელი, რაც ბევრი იწოვება, რის ბევრი დამუშავება შეიძლება, მაგალითად, ერთნაირი ჩითი, ერთნაირი შალი, ერთნაირი ფეხსაცმელი, ერთნაირი სანოვაგე და ბევრი სხვა საჭირო საქონლები, მხოლოდ ღირსებით კი ერთნაირი, რათა შეიძლებოდეს საზოგადოებაზე ასეთების თანასწორეთ დაყოფა და ყველასი დაკმაყოფილება. ესე იგი, უნდა მოისპოს დამუშავება ისეთი საქონლებისა, რითაც ყველასი დაკმაყოფილება არ შეიძლება, ეს კი ნიშნავს კულტურის, ტეხნიკის, მეცნიერების წინსვლის მოსპობას, ამას კი, რა თქმა უნდა, ნაწილი საზოგადოებისა არ დაეთანხმება და გამოეყოფა სოციალისტურ სახელმწიფოს, შეკრავენ კავშირს, დაარსებენ რამე კონუნასავით ერთეულს და წინააღმდეგობას გაუწევენ სოციალისტურ წეს-წყობილებას, ასე რომ სოციალიზმი, თუნდაც რომ განხორციელდეს, რაც ჩვენის აზრით შეუძლებელია, ის მაინც დიდხანს ვერ იბოგინებს და იძულებული იქნება ადრე თუ გვიან ისევ კერძო საკუთრების ფორმათ შეიცვალოს.

ეროვნულ დემოკრატიული პარტია ვერ ეთანხმება სოციალისტურ პარტიებს ტერიტორიის საკითხში, არ კმაყოფილდება როგორც კულტურულ, აგრეთვე რეალურ მოსახლეობის პრინციპით და მოითხოვს საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას იმ საზღვრებში, რაც აღნიშნულია 1783 წ. ტრაქტატში, ისე კი ყველა საქართველოს მიწაზე მცხოვრებს ერებს ეძლევათ უფლება მოაწყონ თავიანთი საქმე ისე, როგორც მათს სურვილს შეესაბამება.

ავტონომიურ საქართველოს დემოკრატიული პარლამენტი მოწვეული უნდა იქმნას საქართველოს დედა ქალაქში თბილისში, და ეს პარლამენტი უნდა განაგებდეს მთელს საქართველოს საქმეებს გარდა ომისა, ზავისა და საგარეო საკითხებისა, რომელიც თანახმად ჩვენი პარტიის პროგრამმისა რუსეთის პარლამენტის ფუნქციაში რჩება, მაგრამ ყველაფერი მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული. საქართველოს პარლამენტში სწორ უფლებიანი წარმომადგენელნი ეყოლებათ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ერებს და, მაშასადამე, რაიმე ეროვნულ დაჩაგვრაზე ლაპარაკიც კი მეტია.

მიწის საკითხშიაც დიდი განსხვავებაა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა და მოწინააღმდეგე სოციალისტურ პარტიებს შორის, ვერც მუნიციპალიზაცია, ვერც სოციალიზაცია საქართველოს მეურნეობას ზიანის მეტს ვერაფერს მოუტანს. ამიტომ მოითხოვს, რომ მიწა მიეცეს მიწის მუშას საკუთრებათ, ამისათვის დაუყონებლივ უნდა ჩამოერთვას სახაზინო, საუფლისწულო, საკაბინეტო და საეკლესიო მიწები და გადაეცეს გლეხებს უფასოდ, საკუთრებად. კერძო მესაკუთრეთა მიწები უნდა გამოსყიდულ იქნას სამართლიან ფასებში და მიეცეს გლეხებს საკუთრებათ. საქართველოს მიწის უმრავლესობა ეკუთვნის კერძო [illegible]

სია, რომ მას შეუძლია ეს მისი საკუთრება მისი სიკვდილის მერე დაუტოვოს თავის შვილებს, თუნდ მისი შვილები მიწის მუშა სულაც არ იყოს, ის იმუშავებს, გაანაყოფიერებს მიწას, მოაშენებს და გამოიტანს მიწიდან დიდს ნაყოფს ბევრ სხვა და სხვა ნედლ მასალას, რის გადასამუშავებლად საჭირო იქნება დიდი მანქანები, დიდი ფაბრიკა-ქარხნები, ბევრი მუშა ხელი, გაძლიერდება წარმოება წინ წავა ტეხნიკა, განვითარდება ვაჭრობა-მრეწველობა აყვავდება კულტურა, ყველა წევრი საზოგადოებისა იშოვის თავისთვის შესაფერ საქმეს და გაადვილდება ცხოვრება. თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიუხვეს, ხე-ტყისა თუ სხვა და სხვა მადნეულობის სიმრავლეს, თუ გამოვიყენებთ ელექტრონის ძალებისათვის ჩვენ მდინარეებს, დავინახავთ, რომ ის, რაც სხვა ქვეყნებისთვის შეუძლებელია, ჩვენთვის ადვილი მოსაგვარებელი საქმეა, და თუ საქმეს საქართველო თავითვე ჰკუით დახვდა, სულ ათი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა თითით საჩვენებელი იქნება ყველასათვის.

როგორც მოგახსენეთ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია სცდილობს ხელი შეუწყოს ვაჭრობა-მრეწველობის აყვავებას, სცდილობს კეთილი სამართლიანი განწყობილება დაამყაროს საქართველოში არსებულ კლასთა შორის და შეერთებული ძალით მოუპოვოს ბედნიერი მომავალი ჩვენს მრავალ ტანჯულ სამშობლო საქართველოს, და აი, ყველაფერი ეს ვალდებულს გვხდის ჩვენ ვაჭარ-მრეწველებს, და არა თუ მარტო ვაჭარ-მრეწველებს, არამედ ყველა კერძო მესაკუთრეთ. ყველა იმათ, ვისაც სოციალიზმი საეჭვოთ მიაჩნიათ, თვითონ მუშებს და გლეხებსაც, მხარი დაუჭირონ დამფუძნებელ კრების არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის და მისგან წამოყენებულ კანდიდატებს მივცეთ ჩვენი ხმები, ესე იგი მივსცეთ ჩვენი ხმები № 8, შესაძლოა ჩვენმა პარტიამ ვერ გაიყვანოს იმდენი კანდიდატები, რამდენსაც სხვა პარტიები გაიყვანებენ, მაგრამ ეს ჩვენ არ გვაშინებს: დეე, ჩვენ გვყავდეს თუნდ ერთი წარმომადგენელი, ოღონდ თუნდა ერთი ჩვენი წარმომადგენლის ხმა ისმოდეს როგორც ხმა ზარისა, როგორც ხმა საყვირისა, ოღონდ იგი აღვიძებდეს ქართველის გულში მიყუჩებულ გრძნობას. ჩვენი წარმომადგენელი უნდა იცავდეს საქართველოს მთლიანობას, უნდა იცავდეს საქართველოს მიწაზე მცხოვრებთ ყველა ეროვნებათა და კლასთა ინტერესებს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დარწმუნებულია, რომ მომავალი მისია, აი, იმ დროს როცა თითოეული ჩვენთაგანი კარგად დაუკვირდება თავის თავს, თავის მდგომარეობას, მონახავს ნამდვილად თავის საქმეს, აი მაშინ გამოჩნდება პარტიების სიძლიერე, მანამდე კი ეროვნულ-დემოკრატიული პარტია განაგრძობს მუშაობას გაასცნოს ჩვენს ერს თავისი თავი და თქვენც ხელი შეუწყვეთ მას, მიეცით ხმა მის სიას № 8, და გაიყვანეთ ისეთი ღირსეული პირები, როგორიც არიან ბ. ბ. ს. კედია გ. გვაზავა და სხვანი...

## მთიელთა კავშირი და აფხაზეთი

მთიელთა კავშირის საკითხს ჩვენმა პრესამ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია და მთელის სისწორით არ გააშუქა და არ წარუდგინა მკითხველს საზოგადოებას. პრესაში მხოლოდ ის იბეჭდებოდა, რომ ამა და ამ დროს და ამა და ამ ადგილას მოხდება კრება მთიელთა კავშირისა და თითქმის მარტო ამით კმაყოფილდებოდა. ამ დროის განმავლობაში კი მთიელთა კავშირი თავისს საქმეს აკეთებდა, ჰგზავნიდა ყველგან თავისს დელეგატებს, ეწეოდა პროპაგანდას და ყოველ ღონისძიებით ცდილობდა, რომ კავშირს საკმარისი მომხრენი ჰყოლოდა. ასეთი დელეგატები არა ერთხელ ეწვივნენ აფხაზეთსაც, დაიარეს მთელი აფხაზეთი, გამართეს კრებები და მხურვალე პროპაგანდა გასწიეს ყველგან. შედეგი ამ პროპაგანდისა ის იყო, რომ ეს ჩვენი სისხლნი და ხორცნი, ისტორიულად ჩვენი ძმანი და მეგობარნი მათგან გადიხარნენ და მთიელთა კავშირში მოექცნენ. აფხაზთა ამ მისწრაფებას არ თანაუგრძნობდა უდიდესი მისი ნაწილი სამურზაყანო, რომელიც უმთავრესად მეგრელებით არის დასახლებული. მათ შემოსაერთებლად გამართული იყო მრავალრიცხოვანი კრება 29 ოქტომბერს კოდორისა და სამურზაყანოს შუა ადგილას. მეტად საყურადღებო იყო ეს კრება, მეტადრე ჩვენთვის, ქართველებისათვის. ამიტომ მოკლეთ ვიხვი მკითხველის წინაშე ანგარიშის ცოტა ვრცლად გადმოცემისათვის.

კრების თავმჯდომარემ თავ. ვლ. ემუხვარმა უპირველეს ყოვლისა მოახსენა კრებას და განუმარტა კავშირის მიზანი და დანიშნულება და დასძინა, რომ ჩვენ მხოლოდ პოლიტიკური კავშირი გვექნება მთიელებთან, ხოლო კულტურული და ეროვნული ისევ საქართველოსთან გვექნებაო. თან ისიც დაუმატა, რომ ეს კავშირი დროებითი იქნება, რადგანაც დღეს ძალა მთიელთა კავშირისკენ არისო და ჩვენც იმიტომ მას უნდა მივემხროთო. ასევე ილაპარაკა პოლკოვნიკმა ჩხოტუამაც.

საკითხი მეტად ბუნდოვანად იყო დასმული და გამოდიოდა რაღაც არ სკამზედ ჯდომა ე. ი. აფხაზები უნდა მთიელებთანაც ყოფილიყვნენ და იმავე დროს ქართველებთანაც. მთელი დანარჩენი რიგი ორატორებისა, რომელნიც კი დაჟინებით მოითხოვდნენ მხოლოდ საქართველოსთან კავშირსა და ერთობას და ასეთს მოთხოვნილებას აყენებდნენ უმრავლესობა თავადაზნაურობისა და მთლად გლეხკაცობა. პირველნი ხაზგასმით უხსნიდნენ, რომ ჩვენ ქართველებს არ ვშორდებით და მხოლოდ პოლიტიკურად ვუერთდებით მთიელებსაო. ასეთმა გაურკვევლობამ და ბუნდოვანმა ლაპარაკმა დიდხანს არ გასტანა. კოდორის ნაწილის აფხაზების დელეგატმა აჯემოვმა, რომელთაც დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონიათ მთიელებთან შეერთება, ბოლო მოუღო ამ გაურკვევლობას და პირდაპირ განაცხადა: ჩვენ დროებით კავშირზედ კი არა გვაქვს ლაპარაკი მთიელებთან, არამედ სამუდამო კავშირზედ და ამიტომ დღესვე უნდა გამოვარკვიოთ საკითხი, თუ თქვენ მეგრელები ხართ წადით და საქართველოს შეუერთდით, ჩვენ არაფერი საწინააღმდეგო არა გვაქვსო და თუ აფხაზები ხართ მაშინ ჩვენთან უნდა წამოხვიდეთ და შეუერთდეთ მთიელთა კავშირსაო.

აჯემოვის სიტყვის შემდეგ გამოირკვა საკითხი და ხალხმა ნათლად გაითვალისწინა თავისი მომავალი, რომელიც საქართველოსგან ჩამოშორებას უქადდა სამურზაყანოს აფხაზეთთან ერთად. მთელმა რიგმა ორატორებისამ დაახასიათა, რომ სამურზაყანო და მასთან ერთად აფხაზეთი ორგანიულს ნაწილს წარმოადგენს საქართველოსას, მასთან მუდმივი დამოკიდებულობა და ნათესაობა ჰქონდათ არა მარტო წარსულში, არამედ ეხლაც, ამიტომ უმჯობესი იქნება უფრო საქართველოსთან შეკავშირება, ვიდრე მთიელებისკენ ხელის გაწვდენაო. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი კი, რომელიც განგებ ამისთვის იყო აქ ჩამოსული ურჩევდა ამ საკითხის გადაჭრა გადაედოთ დამფუძნებელ კრებამდის.

დასასრულ მშვენიერი და გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა თავ. მელ. ემუხვარმა, რომელმაც ცოცხლად დაახასიათა წარსული მუდმივი დამოკიდებულობის სიკეთე საქართველოსთან და ამასთანავე მოითხოვა რომ სამურზაყანო ცალკე არ გამოსულიყო, არამედ დანარჩენ აფხაზეთთან ერთად შესულიყო საქართველოს კავშირში ანუ შემადგენლობაში. აფხაზეთი მუდამ საქართველოსთან უნდა და ვერც გზით ჩამოსცილდებაო. გარდა ამისა თ. ემუხვარმა მოიყვანა აფხაზეთის დეპუტატის ჩხენკელის აზრი, რომელმაც თავისს კერძო ლაპარაკში ჰქონია და რომელიც იმ აზრისა ყოფილა, რომ აფხაზეთი არას გზით არ ჩამოსცილდება საქართველოს და უმისოდ არ გადაწყვეტათ საბოლოოდ ეს საკითხი. შესაძლებელიაო დასძინა თავადმა თვით საქართველოც შევიდეს ამ კავშირში და მაშინაც ის წავიდეს ჩვენც იმას გავყვეთო.

კრებამ თანახმად უმრავლესობის სურვილისა საბოლოო გადაწყვეტილება არ გამოიტანა და დაადგინა შვიდს გიორგობისათვის მოეწვიათ ქალ. სოხუმში მთელის აფხაზეთის კრება და თვით აკაკი ჩხენკელისათვისაც შეეტყობინებინათ, რომ ისიც დასწრებოდა კრებას. თითო სოფლის საზოგადოებამ ორ-ორი წარმომადგენელი უნდა გაგზავნოს სოხუმის კრების დასასწრებლად. მეტად სასურველია რომ ამ კრებას ბევრნი დაესწრონ საქართველოდგანაც ეროვნული პარტიების წარმომადგენელნი მაინც და თვალნათლად განუმარტონ ხალხს საქართველოსთან კავშირის საჭიროება და სარგებლიანობა.

ბატონებო, ჩვენ თვალწინ დიდებული მნიშვნელობის აქტი ხდება, რომელსაც საქართველომ არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს. ეს კავშირი, რომელიც უძლიერესი კავშირი იქნება კავკასიაში, რადგანაც მასში შედიან ოთხი ყაზახებით დასახლებული გუბერნიებიც: ასტრახანისა, დონისა, ყუბანისა და თერგისა, კარგი სანუკვარი ძალა იქნება და საშიშარი მეზობლებისათვის. მისავე ფარგლებში ექცევიან აფხაზეთ-სამეგრელოს გარდა, გორისა და დუშეთის მაზრების კარგა დიდი ნაწილები, რომელნიც ოსებით არიან დასახლებულნი.

ჩვენ იმის გამოძიებას არ შევუდგებით თუ რამდენად სასარგებლოა თუ მავნებელი ასეთი განდგომა საქართველოს განაპირა ქვეყნებისა, ვიტყვით მხოლოდ, რომ დროა საქართველომაც სთქვას თავისი უკანასკნელი და გადაწყვეტილი სიტყვა ამ კავშირში შესვლა არ შესვლის შესახებ, რომელიც დიდ, მძლავრ ძალად გარდაიქმნება დამოკლების.

ზ. ედიშერი.

რედაქტორი **ბასილ მიშაკიძე.**

## კალენდარი

### კვირა, გიორგობისთვის
### 12

კვირა 25. ხმა 8.

**ქართვ.** წმ. მამისა იოანე მოწყალისა ალექსანდრიის პატრიარქისა; ღირს. მამ. ჩვ. ნილოსი.

**კათოლ.** წმ. ბენედიქტესი.

**მაჰმად.** ორ-შაბათ 9 რიც. საფარა 1336 წ. ჰიჯრისა.

**ებრაელ.** ივრიშონ 11 რ. ქისლევ 5678 წ. ქვ. შექმ.

### ორშაბათი, გიორგობისთვის
### 13

**ქართვ.** † წმ. მამ. იოანე ოქროპირისა კონსტანტინეპოლ. მთავარ ეპისკ. წმ. პაპისი დ. მახათაზი.

**კათოლ.** წმ. დიდაკისა.

**სომეხ.** წმ. მელიტას და მინასასი.

**მაჰმად.** ღუ-შაბმე 10 რიც. საფარა 1336 წ. ჰიჯრისა.

**ებრაელ.** იომშენი 12 რ. ქისლევ 5678 წ. ქვეყნ. შექმ.

წარმოდგენა № 9.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის

სახალხო სახლი

სახ. სახ. არს. ქართვ. წარმ. მმართვ. წრე.

ორშაბათს, 13 ნოემბერს 1917 წ., წარმოდგენილი იქნება

მეზვერელი

დრამა 3 მოქ. ი. გედევანიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. ✦ ადგილების ფასი 1 მ. 20 კ. 25 კ-დე.

შემდეგი წარმოდგენა 19 ნოემბერს. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 6—8 ს.

რეჟ. ქ. შათირიშვილი. რეჟ. თანაშ. ალ. ბადრიძე.

2— —2 ქარ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია.

სტამბა „[illegible]" კალანდაძისა გამოქ. შესახვევი № 4

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო"